სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080198504031423

№ 1562 22 / მაისი / 2023 წ.

შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 22 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ (ს/ნ: 205229439) 2023 წლის 22 მარტის №041 მომართვა (რეგისტრაციის №2569), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2023 წლის 19 აპრილსა და 3 მაისს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 19 აპრილისა და 3 მაისის დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 3364, № 3374 და № 3771), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 18 აპრილის №1386 წერილით დადგენილი ხარვეზი.

ამასთან, „შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 აპრილის №1297 განკარგულებით ერთი თვით გაგრძელდა შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ (ს/ნ: 205229439) 2023 წლის 22 მარტის № 041 მომართვის (რეგისტრაციის № 2569) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-6 მუხლისმე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ორი და არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, მიმწოდებელს უფლება აქვს, წარადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ვადის დარღვევით, მას შესაძლოა არ გაუგრძელდეს რეგისტრაციის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მისი მომართვა ჩაითვლება თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად, რომელიც განიხილება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ (ს/ნ: 205229439) მომართვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 22 მარტს, ხოლო მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა ამოიწურა 2023 წლის 28 აპრილს. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 25 აპრილის № 1297 განკარგულებით ერთი თვით გაგრძელდა შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ (ს/ნ: 205229439) 2023 წლის 22 მარტის № 041 მომართვის (რეგისტრაციის № 2569) საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა. შესაბამისად, სააგენტომ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მიმწოდებლის მომართვა ჩათვალა თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“ (ს/ნ: 205229439) 2023 წლის 23 მაისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი